ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

IOM UN MIGRATION

საფრანგეთში დროებითი ლეგალური დასაქმების შესაძლებლობები საქართველოს მოქალაქეებისთვის

„შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ“

➢ **<u>შეთანხმების შესახებ:</u>**

შეთანხმებას ხელი მოეწერა 2013 წლის 12 ნოემბერს, პარიზში.

ხელმომწერი სახელმწიფო უწყებები:

- საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით - საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო (მინისტრი მანუელ ვალსონი),
- საქართველოს მთავრობის სახელით - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი).

რატიფიკაცია:

- საქართველოს მხარე: 27 იანვარი, 2014 (საქართველოს მთავრობის #111 დადგენილება „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ“ შეთანხმების დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე“).
- საფრანგეთის მხარე: 3 დეკემბერი, 2018 (“LOI no 2018-1068 du 3 décembre 2018 autorisant l’approbation de l’accord entre le Gouvernement de la République française et le Gouvernement de la Géorgie relatif au séjour et à la migration circulaire de professionnels)

შეთანხმების ძალაში შესვლის პერიოდი: 1 თებერვალი, 2019.

<u>შენიშვნა:</u> კანონი შეთანხმების ძალაში შესვლის შესახებ საფრანგეთის მხარის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნდა 2019 წლის 26 ივნისს (JORF n°0172 du 26 juillet 2019)

შეთანხმების შესრულებაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებია:

- საფრანგეთის მხარე: შინაგან საქმეთა სამინისტრო.
- საქართველოს მხარე: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ეხლანდელი დასახელება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

➢ <u>შეთანხმების მიზანი</u>

შეთანხმების მიზანია მობილურობაზე დაფუძნებული დროებითი შრომითი მიგრაციის ხელშეწყობა და კომპეტენტური სპეციალისტების საქართველოში დაბრუნების წახალისება. ეს უკანასკნელი მხარდაჭერილია, როგორც საფრანგეთში საქართველოს მოქალაქეების დასაქმების დროებითი ხასიათით (ბინადრობის ნებართვა გაიცემა გარკვეული ვადით), ასევე საქართველოს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ ქართველ დამსაქმებლებსა და მიგრანტ მუშაკებს შორის მიზნობრივი კომუნიკაციის ხელშეწყობით.

➢ <u>კატეგორიები, ვიზეც ვრცელდება შეთანხმება</u>

შეთანხმებით დადგენილი პირობები ვრცელდება საქართველოს მოქალაქეების შემდეგ კატეგორიებზე:

- სტუდენტები (კურსდამთავრებულები), რომლებმაც განათლება მიიღეს საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- პროფესიონალები;
- ახალგაზრდა სპეციალისტები.

შეთანხმებით განსაზღვრულია ცალკეული კატეგორიისადმი კუთვნილების კრიტერიუმები, დასაქმების პროცედურები, შეღავათები და პრივილეგიები.

სტუდენტები (კურსდამთავრებულები), რომლებმაც განათლება მიიღეს საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

ვინ მიეკუთვნება „სტუდენტების“ კატეგორიას?

შეთანხმების თანახმად, „სტუდენტების“ კატეგორიას მიეკუთვნებიან ***საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც კალენდარული წლის განმავლობაში წარმატებით დაასრულეს სასწავლო ციკლი*** **და მოიპოვეს სულ მცირე მაგისტრის (Master) ან პროფესიული ბაკალავრის (Licence Professionnelle) ექვივალენტური დიპლომი:**

ა) სახელმწიფო დონეზე უფლებამოსილ საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ) საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში საფრანგეთის უმაღლეს დაწესებულებასთან დაკავშირებულია შეთანხმებით დიპლომის გაცემის თაობაზე (შემდგომში - „საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულება“).

შეთანხმების საფუძველზე, რა შეღავათები ან უპირატესობა აქვთ „სტუდენტებს“ საფრანგეთში დასაქმებისას?

შეთანხმების გაფორმებამდე ამ უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები (კურსდამთავრებულები). შეთანხმების საფუძველზე კი „სტუდენტების“ კატეგორიაში მოექცა „საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულების“ სტუდენტები (კურსდამთავრებულები) და მათზეც გავრცელდა საფრანგეთში სამუშაოს მოძიების მიზნით 12-თვიანი ბინადრობის ნებართვის მიღების უფლება.

12-თვიანი ბინადრობის ნებართვის პერიოდში დასაქმების შემთხვევაში „სტუდენტს“არ ჭირდება მუშაობის ნებართვა. თუ 12-თვიანი პერიოდის შემდეგ მოიძია განათლების შესაბამისი სამსახური და ამ სამსახურში მისი ხელფასი მინიმალურ ხელფასზე სულ ცოტა 1,5-ჯერ მეტია, მაშინ მასზე მუშაობის ნებართვა გაიცემა საფრანგეთის შრომის ბაზარზე არსებული ვითარების მიუხედავად, ე.წ. „შრომის ბაზრის ტესტის“ გარეშე[1].

დროებითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა გამარტივებული ან დაჩქარებული წესით.

[1] როგორც წესი, საფრანგეთში უცხოელის დასაქმებისათვის ადგილობრივ დამსაქმებელს მოეთხოვება ე.წ. “შრომის ბაზრის ტესტის” გავლა იმის დასადასტურებლად, რომ ქვეყნის შიგნით ამ პროფესიის კადრი ვერ მოიძებნა. დასაქმება „შრომის ბაზრის ტესტის“ გარეშე არსებითად ამარტივებს და აჩქარებს დასაქმების პროცესს.

რა ტიპის ბინადრობის ნებართვა გაიცემა „სტუდენტებზე“?

„სტუდენტებზე“ (კურსდამთავრებულებზე) გაიცემა ერთწლიანი ბინადრობის მოწმობა - **„სამსახურის ძიება/საწარმოს შექმნა“ (Carte de séjour - Recherche d'emploi/création d'entreprise).**

ამ ტიპის ბინადრობის მოწმობა მის მფლობელს საშუალებას აძლევს ***12 თვის განმავლობაში იცხოვროს საფრანგეთში და მოიძიოს საკუთარი განათლების შესაბამისი სამუშაო,*** რათა პროფესიული ცოდნა სრულყოს საფრანგეთში პირველი სამუშაო გამოცდილების მიღებით.

რა ადმინისტრაციული პროცედურა უნდა გაიაროს საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულმა უცხოელმა (მათ შორის საქართველოს მოქალაქემ), ერთწლიანი ბინადრობის მოწმობის -„სამსახურის ძიება/საწარმოს შექმნა“ (Carte de séjour - Recherche d'emploi/création d'entreprise) - მისაღებად?

კურსდამთავრებულმა, რომელმაც საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულაში მიიღო სულ მცირე მაგისტრის ან პროფესიული ბაკალავრის (Licence Professionnelle) ექვივალენტური დიპლომი, მოქმედი ბინადრობის მოწმობის ვადის გასვლამდე 2 თვით ადრე, უნდა მიმართოს პრეფექტურას (ან ქვე-პრეფექტურას) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და **წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები.**

ფრანგული კანონმდებლობით, აღნიშნული ბინადრობის მოწმობით სარგებლობა ასევე შეუძლიათ იმ უცხოელ სტუდენტებს, რომლებმაც საფრანგეთში მიიღეს სულ მცირე მაგისტრის ან პროფესიული ბაკალავრის დიპლომი, დატოვეს საფრანგეთის ტერიტორია და დიპლომის მიღებიდან არაუგვიანეს 4 წლისა სურთ საფრანგეთში დაბრუნება სამსახურის საძებნელად.

რა ადმინისტრაციული პროცედურა უნდა გაიროს „საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულების“ კურსდამთავრებულმა, ერთწლიანი ბინადრობის მოწმობის - „ სამსახურის ძიება/საწარმოს შექმნა“ - მისაღებად?

ბინადრობის ნებართვის მისაღებად, „საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულების“ კურსდამთავრებულმა, უნდა გაიაროს შემდეგი პროცედურები:

1	**ვიზის ონლაინ აპლიკაციის შევსება პორტალზე - France – Visas** • *ვიზის ტიპი: „სამსახურის ძიება/ საწარმოს შექმნა (VLS-TS « recherche d'emploi/création d'entrepris)* • **აპლიკაციის საფრანგეთის საკონსულოში გაგზავნა და ამობეჭდვა** (ვიზიტისას საკონსულოში წარსადგენად)
2	**საქართველოში საფრანგეთის საკონსულოში ვიზიტის ჩანიშვნა** • ვიზიტის ჩანიშვნა შესაძლებელია ტელეფონით ან ელ. ფოსტით
3	**ვიზიტი საფრანგეთის საკონსულოში** • აპლიკაციისა და შესაბამისი საბუთების ჩაბარება;

	• სავიზო მოსაკრებელის (99 ევრო) გადახდა (მოსაკრებლის გადახდა ხდება საკონსულოში)
4	**საკონსულოში ვიზის აპლიკაციის განხილვა** • ვიზის აპლიკაციის განხილვის ვადა მერყეობს 2 კვირიდან 2 თვემდე
5	**მიღებული ვიზის ვალიდაცია** • ვალიდაცია ხორციელდება საფრანგეთში ჩასვლიდან 3 თვის მანძილზე, ელექტრონულად; • ვალიდაციის ღირებულება - 49 ევრო.

როგორ ხდება იმის დადასტურება, რომ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომი გაცემულია ფრანგულ უმაღლეს დაწესებულებასთან საერთაშორისო თანაშრომლობის ფარგლებში?

ვიზის მოთხოვნისას, სტუდენტმა უნდა წარადგინოს კალენდარულ წელს მიღებული ***პროფესიული ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული დიპლომი,*** რომელიც გაცემულია საქართველოს იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, საფრანგეთის რომელიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებულია შეთანხმებით დიპლომის გაცემის თაობაზე.

საფრანგეთის საკონსულო შეამოწმებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის პარტნიორობას.

საფრანგეთში დასაქმებაში დასახმარებლად „სტუდენტებს“ თუ შეუძლიათ მიმართონ რომელიმე სახელმწიფო უწყებას (მაგალითად, საფრანგეთის დასაქმების სახელმწიფო სამსახურს - Pôle Emploi)?

ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში, საფრანგეთის არცერთ სახელმწიფო უწყებას არ აქვს დამსაქმებლის მოძიებაში დახმარების ვალდებულება. „სტუდენტმა“, საფრანგეთში ყოფნის 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში, თვითონ უნდა მოიძიოს კონკრეტული დამსაქმებელი.

საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ განაცხადი გააკეთონ საფრანგეთის დასაქმების სახელმწიფო სამსახურის - Pôle Emploi-ს მიერ გამოქვეყნებულ ვაკანსიებზე (https://www.pole-emploi.fr/accueil/) , თუმცა რაიმე სახის სპეციფიკურ მომსახურებას ეს სააგენტო „სტუდენტებს“ არ სთავაზობს.

სტუდენტებს, რომელთაც აქვთ ერთწლიანი დროებითი ბინადრობის ნებართვა „სამსახურის ძიება/საწარმოს შექმნა“, ამ პერიოდში, ვიდრე თავისი პროფესიით სამუშაოს იპოვიან, თუ შეუძლიათ სხვა სამუშაოზე დასაქმება?

ბინადრობის მოწმობა „სამსახურის ძიება/საწარმოს შექმნა“ (Carte de séjour - Recherche d'emploi/création d'entreprise) უფლებას აძლევს მის მფლობელს, აღნიშნულ 12-თვიან პერიოდში დასაქმდეს ნებისმიერ სამუშაოზე, სამუშაო ადგილის რაოდენობისა და სამუშაო საათების შეუზღუდავად, მუშაობის ნებართვის გარეშე.

12 თვის გასვლის შემდეგ "სტუდენტს" რა შემთხვევებში შეუძლია საფრანგეთში ბინადრობის ახალი ნებართვის მიღება?

ბინადრობის მოწმობის - „სამსახურის ძიება/ საწარმოს შექმნა“(Carte de séjour - Recherche d'emploi/création d'entreprise) - მოქმედების ვადა არის 12 თვე და ***მისი განახლება შეუძლებელია.*** აღნიშნული ბინადრობის მოწმობის ვადის ამოწურვის შემდეგ, მის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს იმ ტიპის ბინადრობის ნებართვა, რომლის პირობებსაც აკმაყოფილებს:

სიტუაცია/პირობა		ბინადრობის მოწმობის ტიპი
იპოვა სამსახური	ა) სამსახური უკავშირდება მიღებულ განათლებას და ხელფასის ოდენობა ***არის*** მინიმალურ ხელფასზე სულ მცირე 1.5- ჯერ მეტი	• **მრავალწლიანი ბინადრობის მოწმობა - „პასპორტი-ტალანტი“** (Carte de séjour pluriannuelle passeport talent) - უცხოელთა შესვლისა და ბინადრობისა და თავშესაფრის უფლების კოდექსის L. 313-20 მუხლის 1°, 2°, 4° ან 9° პუნქტის შესაბამისად. მოწმობა გაიცემა 4 წლის ვადით. • **დროებითი ბინადრობის მოწმობა - „დაქირავებული“ ან „დროებითი მუშაკი“** (Carte de séjour temporaire - salarié ou travailleur temporaire) - (საფრანგეთის შრომის კოდექსის R. 5221-21 მუხლის შესაბამისად). *ბინადრობის მოწმობა გაიცემა შრომის ბაზრის ტესტის გარეშე, 1 წლის ვადით.*
	ბ) სამსახური არ უკავშირდება მიღებულ განათლებას ან ხელფასის ოდენობა ***არ არის*** მინიმალურ ხელფასზე სულ მცირე 1.5- ჯერ მეტი	• **დროებითი ბინადრობის მოწმობა „დაქირავებული“ ან „დროებითი მუშაკი“** (Carte de séjour temporaire - salarié ou travailleur temporaire) - *ფრანგული კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის ბაზრის ტესტის მოთხოვნებით, (საფრანგეთის შრომის კოდექსის R. 5221-20 მუხლის შესაბამისად). მოწმობა გაიცემა 1 წლის ვადით.*

დაიწყო სამეწარმეო საქმიანობა (შექმნა საწარმო)	• **დროებითი ბინადრობის მოწმობა - *„მეწარმე / თავისუფალი პროფესია“*** *(Carte de séjour temporaire entrepreneur/profession libérale); მოწმობა გაიცემა 1 წლის ვადით.* • **მრავალწლიანი ბინადრობის მოწმობა „პასპორტი ტალანტი - საწარმოს შექმნა“** (Carte de séjour pluriannuelle passeport talent - création d'entreprise). მოწმობა გაიცემა 4 წლის ვადით.

პროფესიონალები

ვინ მიეკუთვნება „პროფესიონალების“ კატეგორიას?

„პროფესიონალებს“ მიეკუთვნებიან შეთანხმებით განსაზღვრული შემდეგი პროფესიის მქონე პირები:

მშენებლობა და საზოგადოებრივი სამუშაოები

- მხურავი
- სადურგლო საკეტების დამმონტაჟებელი (დურგალი, ზეინკალი)
- სამშენებლო კომპლექსის მხაზველი
- ტოპოგრაფი
- სამშენებლო კომპლექსის ტექნიკურ შესწავლაზე პასუხისმგებელი პირი /მასწავლებელი/
- სამშენებლო კომპლექსის ობიექტის მმართველი
- სამშენებლო კომპლექსის სამუშაოთა მწარმოებელი

სასტუმროებისა და რესტორნების მეურნეობა, კვება

- მზარეული
- რესტორნის მრავალპროფილიანი თანამშრომელი
- რესტორნის ოფიციანტი
- ხორცის პროდუქტების დამამზადებელი (ყასაბი)

მექანიკა, ლითონდამუშავება

- მეთუნუქე-მგლინავი
- დაზგებისა და ჩარხების ოპერატორები
- ზეინკალ-მექანიკოსი
- სამშენებლო ობიექტის ხელსაწყოების, ამწე-სატრანსპორტო მექანიზმებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მექანიკოსი
- მანქანათმშენებლობის მხაზველ-დამპროექტებელი

- მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მხაზველი
- მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ტექნიკოსი
- მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების კვალიფიციური ტექნიკოსი
- ლიფტებისა (და სხვა მექანიკური სისტემების) მემონტაჟე-შემკეთებელი

ელექტრომრეწველობა, ელექტრონიკა

- ელექტრო და ელექტროტექნიკური მასალის ელექტროტექნიკოსი
- ელექტრობისა და ელექტრონიკის მხაზველ-დამპროექტებელი
- ელექტრობისა და ელექტრონიკის მხაზველი
- ელექტრობისა და ელექტრონიკის ხარისხის შემოწმებისა და კონტროლის სპეციალისტი

ტექნიკური უზრუნველყოფა

- უზრუნველყოფის ელექტრიკოსი
- უზრუნველყოფის მრავალპროფილიანი მუშა
- სამრეწველო და პროფესიული დანადგარების დამმონტაჟებელი
- ავტომატიზირებული სისტემების ამწყობი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფის სპეციალისტი
- ნორმებთან შესაბამისობის ინსპექტორი
- გათბობის, კონდიცირებისა და მაცივრების სისტემების უზრუნველყოფის სპეციალისტი
- უზრუნველყოფის სპეციალისტი ელექტრონიკაში

ტრანსპორტი, ლოჯისტიკა, ტურიზმი

- დარგის დაგეგმვის, ორგანიზებისა და მეთოდების სპეციალისტი

გადამამუშავებელი მრეწველობა

- მინის ჩამოსხმის (დამუშავების) ოპერატორი
- ცემენტის საწარმოს მშენებლობის კოორდინატორი
- გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის სპეციალისტი

დრეკადი მასალები, ხის დამუშავება, მსუბუქი მრეწველობა

- ავეჯისა და ხის ნაწარმის (და მსგავსი მასალის) დამამზადებელი მანქანების ოპერატორი
- ხის და მსგავსი მასალების დამამზადებელი (სერიული წარმოება)
- ავეჯისა და ხის მრეწველობის სპეციალისტი

საწარმოთა მართვა, ადმინისტრირება

- საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალისტი
- აუდიტისა და ფინანსური და სააღრიცხვო კონტროლის სპეციალისტი

ინფორმატიკა

- გამოყენებითი ინფორმატიკის სპეციალისტი
- კვლევის პროგრამისტი (მათ შორის, პროექტის ხელმძღვანელი)
- პროგრამისტ-ექსპერტი

ბანკი და დაზღვევა

- სადაზღვევო საქმის პასუხისმგებელი

ვაჭრობა

- დისტანციური გაყიდვების სპეციალისტი
- პროფესიული აღჭურვილობის სავაჭრო ატაშე
- შუალედური ქონებისა და ნედლეულის სავაჭრო ატაშე
- საწარმოებთან არსებული სამსახურების სავაჭრო ატაშე
- ტექნიკური მაჩვენებლებით საქონლის წარმომჩენი სპეციალისტი (გაყიდვის პუნქტებისა და განყოფილებების შერჩევა)
- ტექნიკურ-კომერციული ინჟინერი

შენიშვნა: *პროფესიების ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს ორივე მხარის კომპეტენტურ სამთავრობო ორგანოებს შორის წერილების გაცვლის გზით.*

შეთანხმების საფუძველზე, რა შეღავათები ან უპირატესობა აქვთ „პროფესიონალებს“ საფრანგეთში დასაქმებისას?

შეთანხმების თანახმად, „პროფესიონალების“ კატეგორიის წარმომადგენლების საფრანგეთში დასაქმებისას ფრანგ დამსაქმებელს არ მოეთხოვება შრომის ბაზრის ტესტის გავლა და იმის დადასტურება, რომ ქვეყნის შიგნით ამ პროფესიის კადრის მოძებნა შეუძლებელია. ამასთან, დროებითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა გამარტივებული ან დაჩქარებული წესით.

გარდა ამისა, შეთანხმების თანახმად, იმის მიუხედავად, რომ „პროფესიონალების“ თავდაპირველი დასაქმების ვადა 1 წლამდეა, მათზე გაიცემა დროებითი ბინადრობის მოწმობა - „დაქირავებული“ (carte de séjour – salarié) [2], რაც მის მფლობელს უფლებას აძლევს, ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ, მოითხოვოს 4 წლიანი ბინადრობის ნებართვა[3].

რა ტიპის ბინადრობის ნებართვა გაიცემა „პროფესიონალებზე“?

შეთანხმებით განსაზღვრული პროფესიების წარმომადგენლები - „პროფესიონალები“, <u>შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიუხედავად</u>, მიიღებენ **დროებითი ბინადრობის მოწმობას - „დაქირავებული“ (carte de séjour – salarié),** რომელიც გაიცემა 1 წლის ვადით.

[2] საფრანგეთში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ბინადრობის მოწმობა „დაქირავებული“, ზოგადად გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომელთაც აქვთ ***განუსაზღვრელი ვადით*** დადებული შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი დასაქმების შემთხვევაში კი გაიცემა „დროებითი მუშაკის“ (carte de séjour – travailleur temporaire) ბინადრობის მოწმობა.

[3] ბინადრობის მოწმობის - „დროებითი მუშაკი“ - მფლობელს მხოლოდ ერთწლიანი ნებართვის მოთხოვნის უფლება აქვს.

წელიწადში რამდენი „პროფესიონალი“ შეიძლება დასაქმდეს საფრანგეთში და დადგენილი რაოდენობრივი ზღვრის გადაჭარბების შემთხვევაში, თუ აქვთ დასაქმების შესაძლებლობა?

შეთანხმების თანახმად, „პროფესიონალების“ კატეგორიის წარმომადგენლებისთვის გაცემული დროებითი ***ბინადრობის მოწმობის ყოველწლიური რაოდენობა 500-ს არ უნდა აღემატებოდეს.***

ამასთან, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც არ შეუძლიათ შეთანხმების დებულებებით სარგებლობა მხოლოდ შეთანხმებით დადგენილი რაოდენობრივი ზღვრის გადაჭარბების გამო, შეუძლიათ ისარგებლონ ფრანგული კანონმდებლობით პროფესიული იმიგრაციის შესახებ, ანუ ***ორმხრივი შეთანხმების გარეთ დასაქმებისას, საქართველოს მოქალაქეები დაექვემდებარებიან საფრანგეთის პროფესიული იმიგრაციის ზოგად პირობებს,*** რაც ნიშნავს შემდეგს:

- ✓ მათზე გავრცელდება შრომითი ბაზრის ტესტი *(გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავად ფრანგული კანონმდებლობა ითვალისწინებს ბაზრის ტესტისგან განთავისუფლებას).*
- ✓ განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შემთხვევაში, მიიღებენ ბინადრობის მოწმობას - „დროებითი მუშაკი“ (carte de séjour – travailleur temporaire).

ამას გარდა, მათზე არ გავრცელდება ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა შეღავათები და პრივილეგიები.

რა ადმინისტრაციული პროცედურა უნდა გაიროს „პროფესიონალმა“, ბინადრობის მოწმობის - „დასაქმებული“ (carte de séjour – salarié) - მისაღებად?

საქართველოს მოქალაქემ, რომელიც მიეკუთვნება კატეგორიას “პროფესიონალები“, ბინადრობის მოწმობის - „დასაქმებული“ (carte de séjour – salarié) მისაღებად, უნდა გაიაროს შემდეგი პროცედურები:

1	**დამსაქმებლისგან დასაქმების (შრომითი ხელშეკრულების) დაპირების (promesse unilatérale de contrat de travail) მიღება** • დასაქმების დაპირებას უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა და გაგზავნილი უნდა იყოს ან ფოსტით, ან ფაქსით, ან ელ. ფოსტით; • დასაქმების დაპირება უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს: შეთავაზებული პოზიცია, მუშაობის დაწყების თარიღი, ანაზღაურება და სამუშაოს ადგილმდებარეობა. ამ შემთხვევაში, დაპირება უთანაბრდება შრომით ხელშეკრულებას.
2	**ვიზის აპლიკაციის შევსება პორტალზე - France – Visas** • *ვიზის ტიპი: გრძელვადიანი ვიზა -“დაქირავებული“ (VLS-TS salarié).*

3	**მუშაობის ნებართვის მიღება** • დამსაქმებელმა, უცხოელის მუშაობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, უნდა მიმართოს საფრანგეთის „საწარმოების, კონკურენციის, მოხმარების, შრომისა და დასაქმების დირექტორატს“ (შემდგომში -„DIRECCTE“), საწარმოს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. • DIRECCTE-ს აქვს ორთვიანი ვადა მუშაობის ნებართვის გასაცემად. • მუშაობის ნებართვაზე თანხმობის მიცემის შემთხვევაში, ნებართვა ეგზავნება საქართველოში საფრანგეთის საკონსულოს, რის შემდეგაც საკონსულო უკავშირდება დასაქმების კანდიდატს.
4	**საქართველოში საფრანგეთის საკონსულოში ვიზიტის ჩანიშვნა** • ვიზიტის ჩანიშვნა ხდება დაგეგემილ გამგზავრებამდე არაუადრეს 3 თვისა და არაუგვიანეს 2 თვისა; • ვიზიტის ჩანიშვნა შესაძლებელია ტელეფონით ან ელ. ფოსტით
5	**ონლაინ აპლიკაციის შევსების დასრულება, საფრანგეთის საკონსულოში გაგზავნა და ამობეჭდვა** (საკონსულოში წარსადგენად)
6	**ვიზიტი საფრანგეთის საკონსულოში** • აპლიკაციისა და შესაბამისი საბუთების ჩაბარება; • სავიზო მოსაკრებელის (99 ევრო) გადახდა (მოსაკრებლის გადახდა ხდება საკონსულოში)
7	**საკონსულოში ვიზის აპლიკაციის განხილვა** • ვიზის აპლიკაციის განხილვის ვადა მერყეობს 2 კვირიდან 2 თვემდე
8	**მიღებული ვიზის ვალიდაცია** • ვალიდაცია ხორციელდება საფრანგეთში ჩასვლიდან 3 თვის მანძილზე, ელექტრონულად; • ვალიდაციის ღირებულება - 250 ევრო.

„პროფესიონალებს“საფრანგეთში დასაქმებაში დასახმარებლად თუ შეუძლიათ მიმართონ რომელიმე სახლმწიფო უწყებას (მაგალითად, საფრანგეთის დასაქმების სახელმწიფო სამსახურს - Pôle Emploi)?

ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში, საფრანგეთის არცერთ სახელმწიფო უწყებას არ აქვს დამსაქმებლის მოძიებაში დახმარების ვალდებულება. დასაქმების მსურველმა თვითონ უნდა მოიძიოს კონკრეტული დამსაქმებელი.

საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ განაცხადი გააკეთონ საფრანგეთის დასაქმების სახელმწიფო სამსახურის - Pôle Emploi-ს მიერ გამოქვეყნებულ ვაკანსიებზე: https://www.pole-emploi.fr/accueil/, თუმცა რაიმე სახის სპეციფიკურ მომსახურებას ეს სააგენტო „პროფესიონალებს“ არ სთავაზობს.

ქართველი „პროფესიონალის“ საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ, დამსაქმებლის მხრიდან უარის შემთხვევაში, რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება დამსაქმებელს და „პროფესიონალს“ თუ შეუძლია ახალი დამსაქმებლის მოძიება?

დამსაქმებელს აქვს დადებული შრომითი ხელშეკრულების შესრულების სამართლებრივი ვალდებულება. საფრანგეთის კანონმდებლობით ისჯება ბინადრობის მოწმობის მისაღებად არასწორი ინფორმაციის წარდგენა.

მიგრანტს, რომელსაც შრომითი ხელშეკრულება საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ შეუწყდა, უფლება აქვს ეძებოს ახალი დამსაქმებელი.

როგორია დამსაქმებლის შეცვლის პროცედურები?

თუ „პროფესიონალი“ საფრანგეთში ახორციელებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და აქვს ბინადრობის მოწმობა - „დაქირავებული“(carte de séjour – salarié), დამსაქმებლის საკუთარი ნებით ან საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში, ბინადრობის ვადის ფარგლებში, დამსაქმებლის შეცვლის მიზნით უნდა გაიაროს შემდეგი პროცედურები:

- ✓ მუშაობის ახალი ნებართვა მოთხოვნილი უნდა იქნას შესაბამის DIRECCTE-ში http://direccte.gouv.fr/, დამსაქმებლის ადგილსამყოფელის მიხედვით. თუ „პროფესიონალი“ ახალ დამსაქმებელთან განახორციელებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას, შეთანხმების დებულებების შესაბამისად, შრომის ბაზრის ტესტი მისთვის საჭირო არ არის.
- ✓ მუშაობის ნებართვის აპლიკაცია და შესაბამისი დოკუმენტები უნდა წარედგინოს პრეფექტურას, დასაქმებული მიგრანტის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დასაქმების უფლება ბინადრობის ნებართვის პერიოდის დასრულების შემდეგ

თუ ბინადრობის ნებართვის პერიოდის დასრულების შემდეგ „პროფესიონალი“ გააფორმებს ახალ შრომით ხელშეკრულებას ისეთი პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც მიეკუთვნება შეთანხმების დანართით განსაზღვრულ პროფესიებს, მასზე კვლავ გავრცელდება შეთანხმებით გათვალისწინებული უპირატესობები.

თუ შრომითი ხელშეკრულება ეხება სხვა პროფესიით საქმიანობას, მაშინ გავრცელდება დასაქმების ზოგადი წესები (მათ შორის, შრომის ბაზრის ტესტი, თუ ფრანგული კანონმდებლობით სხვა წესი არ არის გათვალისწინებული).

„პროფესიონალის“ უფლებები და გარანტიები დროებითი უმუშევრობის შემთხვევაში

რადგან შეთანხმება ამ მიმართულებით სპეციალურ წესებს არ ითვალისწინებს, უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში „პროფესიონალებზე“ გავრცელდება ფრანგული კანონმდებლობით

დადგენილი ზოგადი წესები. უმუშევრობის დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია საფრანგეთის შრომის კოდექსით, რომლის თანახმად, უმუშევრობის დაზღვევის უფლებით სარგებლობა უკავშირდება მუშაობის ვადას: დასაქმებულს ნამუშევარი უნდა ჰქონდეს სულ მცირე 6 თვე (არანაკლებ 130 დღე ან 910 საათი) ბოლო 24 თვეში.

უმუშევრის შემწეობის მისაღებად პირმა უნდა მიმართოს საფრანგეთის დასაქმების სახელმწიფო სამსახურის - "Pôle emploi"-ს ადგილობრივ განყოფილებას და დარეგისტრირდეს სამუშაოს მაძიებლად.

"Pôle emploi"-ში რეგისტრაციისთვის პირმა, სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად, უნდა წარადგინოს რომელიმე სახის ბინადრობის მოწმობა (მეტი ინფორმაცია იხ.: https://www.service-public.fr/particuliers/vosdroits/F24465)

როგორია "პროფესიონალების" სამედიცინო დაზღვევის პირობები?

რადგან შეთნხმება ამ მიმართულებით სპეციალურ წესებს არ ითვალისწინებს, საქართველოს მოქალაქეებზე გავრცელდება დასაქმებულთა სამედიცინო დაზღვევის ზოგადი წესები. "პროფესიონალების" ჯანდაცვის დაზღვევის პირობები ისეთივეა, როგორიც ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი სხვა დასაქმებულისათვის.

ზოგადად საფრანგეთში მომუშავე პირი ექვემდებარება ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევას. დაზღვევის კონკრეტული პირობები განისაზღვრება ფრანგული კანონმდებლობით, ასევე შრომითი ხელშეკრულებით ან/და კოლექტიური ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

ახალგაზრდა სპეციალისტები

ვინ მიეკუთვნება „ახალგაზრდა სპეციალისტების" კატეგორიას?

შეთანხმების თანახმად, „ახალგაზრდა სპეციალისტებს" მიეკუთვნებიან **18-დან 35 წლამდე** ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც უკვე ჩართულნი არიან ან იწყებენ აქტიურ ცხოვრებას და მიემგზავრებიან საფრანგეთში დასაქმების მიზნით, საკუთარი კარიერის პერსპექტივის გასაუმჯობესებლად.

„ახალგაზრდა სპეციალისტებს" უნდა ჰქონდეთ შეთავაზებული სამსახურისთვის საჭირო კვალიფიკაციის შესაბამისი დიპლომი და/ან პროფესიული გამოცდილება.

რეგლამენტირებული (რეგულირებადი) პროფესიების (Professions Règlementées) შემთხვევაში (მაგალითად, ექიმი, ექთანი, ადვოკატი, პედაგოგი, ფსიქოლოგი, არქიტექტორი, მძღოლი, ავტოშემკეთებელი, კალატოზი, მღებავი, ელექტრიკოსი, ყასაბი, მცხობელი, კონდიტერი, ფიტო-ფარმაცევტული პროდუქციის დისტრიბუტორი, გიდი, რესტავრატორი, სტილისტი, მასაჟისტი და სხვ.) ახალგაზრდა სპეციალისტებზე ვრცელდება საფრანგეთის მიერ

განსაზღვრული პირობები, რომელთა თანახმად, რეგულირებადი პროფესიით საქმიანობის განსახორციელებლად ***აუცილებელია შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის ფლობა (განათლების დონე) და, რიგ შემთხვევებში, წინასწარი ნებართვის მოპოვება კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლდ.*** ამჟამად საფრანგეთში 250-მდე რეგულირებადი პროფესიაა. აღნიშნული პროფესიების სია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: *https://www.guichet-qualifications.fr/fr/professions-reglementees/* .

რა შეღავათები ან უპირატესობა აქვთ „ახალგაზრდა სპეციალისტებს“ საფრანგეთში დასაქმებისას?

„ახალგაზრდა სპეციალისტები“ მიეკუთვნებიან კატეგორიას, რომელსაც შეუძლიათ საფრანგეთში პროფესიული საქმიანობით ***დასაქმდნენ ნებისმიერ სექტორში საფრანგეთის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად, შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის მიუხედავად*** (შრომის ბაზრის ტესტის გარეშე). მათი მუშაობის ნებართვები და ვიზები გაიცემა მოკლე ვადებში და გამარტივებული პროცედურებით. საფრანგეთში „ახალგაზრდა სპეციალისტების“ დასაქმებისათვის ერთადერთი საკონტაქტო ადმინისტრაციული ორგანოა „საფრანგეთის იმიგრაციისა და ინტეგრაციის ოფისი“ (შემდგომში - „OFII“).

სხვა უპირატესობებია:

- ✓ უცხოელის დასაქმების გადასახადი, რომელსაც იხდის ფრანგი დამსაქმებელი, „ახალგაზრდა სპეციალისტების“ დასაქმების შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების ვადის მიუხედავად, შეადგენს მხოლოდ 74 ევროს *(სხვა შემთხვევაში გადასახადი დგინდება დასაქმების ხანგრძლივობისა და ხელფასის შესაბამისად და მერყეობს 72-დან 2092 ევრომდე).*
- ✓ „ახალგაზრდა სპეციალისტები“ განთავისუფლებულნი არიან ვიზის ვალიდაციის გადასახადისაგან.

წელიწადში რამდენი „ახალგაზრდა სპეციალისტი“ შეიძლება დასაქმდეს საფრანგეთში და დადგენილი რიცხობრივი ზღვრის გადაჭარბების შემთხვევაში, თუ აქვთ დასაქმების შესაძლებლობა?

შეთანხმების თანახმად, საფრანგეთში დასაქმებული „ახალგაზრდა სპეციალისტების“ რაოდენობა ***წელიწადში 150-ს არ უნდა აღემატებოდეს.***

„ახალგაზრდა სპეციალისტებს“, რომლებსაც არ შეუძლიათ შეთანხმების დებულებებით სარგებლობა მხოლოდ შეთანხმებაში მითითებული რაოდენობრივი ზღვრის გადაჭარბების გამო, შეეძლებათ ისარგებლონ საფრანგეთის კანონმდებლობით პროფესიული იმიგრაციის შესახებ. ანუ ორმხრივი შეთანხმების გარეთ, საქართველოს მოქალაქეები დაექვემდებარებიან პროფესიული იმიგრაციის ზოგად პირობებს, რაც ნიშნავს შემდეგს:

- ✓ მათზე გავრცელდება შრომითი ბაზრის ტესტი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავად ფრანგული კანონმდებლობა ითვალისწინებს ბაზრის ტესტისგან გათავისუფლებას).
- ✓ განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შემთხვევაში, მიიღებენ ბინადრობის მოწმობას - „დროებითი მუშაკი“ (carte de séjour – travailleur temporaire).

რა ტიპის ვიზა გაიცემა „ახალგაზრდა სპეციალისტზე“?

„ახალგაზრდა სპეციალისტზე“ გაიცემა გრძელვადიანი ვიზა - „ახალგაზრდა სპეციალისტი“ (VLS/TS «jeune professionnel»). მუშაობის საწყისი ნებადართული ვადა შეადგენს 6-12 თვეს, რომელიც დამატებით შეიძლება გაგრძელდეს 6 თვით. ***ჯამში „ახალგაზრდა სპეციალისტის“ ბინადრობის ხანგრძლივობა საფრანგეთში 18 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.*** ამასთან, „ახალგაზრდა სპეციალისტებს“ შეუძლიათ <u>მხოლოდ ერთხელ</u> გამოიყენონ აღნიშნული პროცედურა და ***18 თვის შემდეგ უნდა დაბრუნდნენ სამშობლოში***.

რა ადმინისტრაციული პროცედურა უნდა გაიროს „ახალგაზრდა სპეციალისტმა“ მუშაობის ნებართვისა და ვიზის მისაღებად?

მუშაობის ნებართვისა და ვიზის მისაღებად, „ახალგაზრდა სპეციალისტმა“ უნდა გაიაროს შემდეგი პროცედურები:

1	**დამსაქმებლისგან დასაქმების (შრომითი ხელშეკრულების) დაპირების (promesse unilatérale de contrat de travail) მიღება.** • დასაქმების დაპირებას უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა და გაგზავნილი უნდა იყოს ან ფოსტით, ან ფაქსით, ან ელ. ფოსტით (ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს დამსაქმებლის იდენტიფიცირება); • დასაქმების დაპირება უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს: შეთავაზებული პოზიცია, მუშაობის დაწყების თარიღი, ანაზღაურება და სამუშაოს ადგილმდებარეობა. ამ შემთხვევაში, დაპირება უთანაბრდება შრომით ხელშეკრულებას.
2	**დოკუმენტების გაგზავნა OFII- ში** • „ახალგაზრდა სპეციალისტმა“ OFII- ში უნდა გააგზავნოს CV, დიპლომის ასლი, ან/და სტაჟირების ცნობა, ან/და დასაქმების დამადასტურებელი ცნობა, პასპორტის ასლი (პირველი 6 გვერდი) და ხელმოწერილი ფორმა „წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების ვალდებულება“.
3	**მუშაობის ნებართვის მიღება** • დამსაქმებელმა მუშაობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით უნდა მიმართოს OFII-ს. • შესაბამისი პროცედურების გავლით სამუშაო ნებართვაზე თანხმობის შემთხვევაში, ნებართვა ეგზავნება საქართველოში საფრანგეთის საკონსულოს. პროცედურის ვადაა 20 დღე. • დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში OFII მუშაობის ნებართვას უგზავნის საქართველოში საფრანგეთის საკონსულოს.

4	**ვიზის მიღება საფრანგეთის საკონსულოში** • ვიზაზე განაცხადის განხილვის ვადა მერყეობს 2 კვირიდან -2 თვემდე • დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში „ახალგაზრდა სპეციალისტი“ ღებულობს გრძელვადიან ვიზას • ვიზა იძლევა საფრანგეთში ბინადრობისა და მუშაობის უფლებას
5	**ვიზის ვალიდაცია** • ვიზის ვალიდაცია ხორციელდება საფრანგეთში ჩასვლიდან 3 თვის მანძილზე, ელექტრონულად; • ახალგაზრდა სპეციალისტები გათავისუფებულნი არიან ვიზის ვალიდაციის გადასახადისგან.

რა ფორმით უნდა იყოს დადასტურებული შეთავაზებული სამსახურისთვის საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი პროფესიული გამოცდილება?

„ახალგაზრდა სპეციალისტებს“ უნდა ჰქონდეთ შეთავაზებული სამსახურისთვის საჭირო კვალიფიკაციის შესაბამისი დიპლომი ან პროფესიული გამოცდილება.

პროფესიული გამოცდილება შეიძლება დადასტურდეს საქართველოში დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტით (შრომითი ხელშეკრულება ან ცნობა დასაქმების/პროფესიული საქმიანობის შესახებ).

ვიზის ვადის დასრულების შემდეგ, საფრანგეთში მუშაობის გაგრძელების უფლება და საჭირო პროცედურები

შეთანხმების შესაბამისად, „ახალგაზრდა სპეციალისტებს“ აქვთ მუშაობის ნებართვის განახლების ორი შესაძლებლობა:

1. თუ შრომითი ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, ახალგაზრდა სპეციალისტს, სურს შრომით ხელშეკრულების გაგრძელება იმავე დამსაქმებელთან 6 თვით (ჯამში მაქსიმუმ 18 თვემდე), უნდა მიმართოს OFII-ს ტერიტორიულ დირექტორატს და წარადგინოს პირველადი შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც თან ახლავს შეცვლილი თარიღი და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, ასევე ბინადრობის ნებართვის ასლი და ბოლო სამი თვის ხელფასის ცნობები. OFII გადაუგზავნის დოსიეს კომპეტენტურ ორგანოს - DIRECCTE-ს, რომელიც დაამტკიცებს ვადის ცვლილებას და დაუბრუნებს OFII-ს.

2. თუ შრომითი ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, ახალგაზრდა სპეციალისტს, სურს დამსაქმებლის შეცვლა, ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამოწურული არ აქვს ამ სქემით განსაზღვრული ბინადრობის მაქსიმალური ვადა - 18 თვე. ასეთ შემთხვევაში, ახალგაზრდა სპეციალისტის შრომითი ხელშეკრულება და წინა ხელშეკრულების ასლი უნდა წარეგდინოს OFII-ს, რომელიც ხელშეკრულებას დაადასტურებინებს შესაბამის DIRECCTE-ს.

თუ „ახალგაზრდა სპეციალისტი“ იმავდროულად მიეკუთვნება შეთანხმებით განსაზღვრულ „პროფესიონალების“ კატეგორიას, დასაქმების რომელი სქემის გამოყენება შეუძლია?

თუ პირი ერთდროულად მიეკუთვნება შეთანხმებით განსაზღვრულ „ახალგაზრდა სპეციალისტების“ და „პროფესიონალების“ კატეგორიას, უფლება აქვს ისარგებლოს ამ ორი კატეგორიიდან ერთ-ერთის დასაქმების სქემით. ცხრილში წარმოდგენილია საფრანგეთში „პროფესიონალებისა“ და „ახალგაზრდა სპეციალისტების“ დასაქმების პირობები:

დასაქმების პირობა	**კატეგორია**	
	პროფესიონალი	**ახალგაზრდა სპეციალისტი**
ასაკი	არ არის შეზღუდული	18 -35 წლის
ქვოტა (წელიწადში გაცემული ბინადრობის ნებართვების მაქსიმალური რაოდენობა)	500	150
დასაქმების სფერო	შეთანხმებით განსაზღვრული 50 პროფესია	არ არის შეზღუდული *(დიპლომის ან/და პროფესიული გამოცდილების შესაბამისად)*
შრომის ბაზრის ტესტი	მოხსნილია	მოხსნილია
დამსაქმებლის მოძიება	დამსაქმებლის მოძიება ხდება კანდიდატის მიერ	დამსაქმებლის მოძიება ხდება კანდიდატის მიერ
გამგზავრებამდე შრომითი ხელშეკრულების / დასაქმების დაპირების არსებობა	სავალდებულოა	სავალდებულოა
ბინადრობის ხანგრძლივობა/ განახლების შესაძლებლობა	12 თვე + ∞ (განახლების შესაძლებლობა, მიგრანტის სიტუაციის შესაბამისად)	12 თვე + 6 თვე (მაქსიმუმ 18 თვე) (განახლების შესაძლებლობის გარეშე)
ბინადრობის ვადის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნების ვალდებულება	არა	დიახ
ბინადრობის ნებართვის მიღების პროცედურა	კანდიდატს უწევს ურთიერთობა სხვადასხვა ადმინისტრაციულ უწყებასთან და მეტი პროცედურის გავლა: *ბინადრობის ნებართვაზე ონლაინ აპლიკაციის შევსება,*	როგორც დამსაქმებელს, ისე კანდიდატს, ურთიერთობა აქვს მხოლოდ ერთ ადმინ. ორგანოსთან (OFII) და პროცედურები შედარებით მარტივია: ***საჭირო არ არის***

	საკონსულოში საბუთების წარდგენა. მუშაობის ნებართვის მისაღებად დამსაქმებელმა უნდა მიმართოს DIRECCTE-ს.	*ვიზაზე ონლაინ აპლიკაციის შევსება, საკონსულოში საბუთების წარდგენა, DIRECCTE-სადმი დამსაქმებელის მიმართვა. ამ საკითხებს აგვარებს OFII.*
მუშაობის ნებართვის გასაცემად საჭირო დრო	2 თვე	20 დღე
უცხოელის დასაქმების გადასახადი (იხდის დამსაქმებელი)	72 - 2092 € (შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობისა და ხელფასის შესაბამისად)	74 €
ვიზის ვალიდაციის გადასახადი	250 €	გათავისუფლებული